1. დამკვეთის ინფორმაციის ველებში კვლავ არ არის სწორად შევსებული. დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე (მესაკუთრეები), რომელსაც გააჩნია სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. მიუთითეთ დამკვეთი ორგანიზაცია და მისი დირექტორი. 2019 წლის 08 მაისის მინდობილობის თანახმად, განმცხადებელი არის მესაკუთრის, შპს სი. აი. ჯის წარმომადგენელი. ხოლო მინდობილობა რომელიც გაცემულია ირაკლი თუშიშვილის, როგორც ფიზიკური პირის (და არა შპს მს დეველოპერის დირექტორის მიერ) მისაღები არ არის. წარმოდგენილი იქნას შპს მს დეველოპერის (დირექტორის) მიერ გაცემული თანხმობა. ხოლო, თუ შპს მს დეველოპერს გააჩნია მშენებლობის ინტერესი და ფიქსირდება დამკვეთადაც, წარმოდგენილი იქნას შპს მს დეველოპერის (დირექტორის) მიერ გაცემული მინდობილობა.

შესწორებულია

2. წარმოდგენილ კონსტრუქციულ დასკვნაში ამოცანად განისაზღვრა კვაჭანტირაძის ქუჩა 24-ში პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება, ხოლო განცხადებაზე თანდართული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული ადგილმდებარეობის შესაბამისად ობიექტის მისამართია კვაჭანტირაძის ქუჩა 5. ამავე დასკვნის შინაარსის შესაბამისად ინსპექტირებაზე წარდგენილი პროექტი დაკორექტირდა ნაშვერების ნახევარის დაგრძელებასთან მიმართებაში, თუმცა განმცხადებლის მიერ მოთხოვნა წარმოდგენილია შეთანხმებული პროექტის ცვლილებით ნებართვაზე, სადაც შეთანხმებული პროექტის კორექტირების განმარტებითი ბარათის შესაბამისად მოთხოვნილი იყო გარკვეული სახის არსებითი ცვლილებები, რის თაობაზეც არაფერია ნათქვამი წარმოდგენილ დასკვნაში და მაშასადამე გაურკვეველია თუ რამდენად იმ ცვლილებების გათვალისწინებით არის მომზადებული დასკვნა, რაც შეთანხმდა სამსახურის 2019 წლის 10 თებერვლის №4444542 ბრძანებით.

შესწორებულია